

მოსწავლეთა ავტონომიური სწავლის შეფასებისა და განვითარების  
მოდელი სკოლისთვის

ანა ბზიავა; ნათია იასალაშვილი; თეა დადვანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის-მოსწავლეთა ავტონომიური სწავლის შეფასებისა და განვითარების მოდელი სკოლისთვის-ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ანა ბზიავა

ნათია იასალაშვილი

თეა დადვანი

08.02.2021

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე: „მოსწავლეთა ავტონომიური სწავლის შეფასებისა და განვითარების მოდელი სკოლისათვის“.

აღნიშნული კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისის სსიპ #175 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის ორ კლასში (მე-7 და მე-8 კლასები) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ.

კვლევის მიზანს წარმოადგენს სამიზნე სკოლის პედაგოგებთან ერთად ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევებისა თუ კომპეტენციების პერიოდულ კვლევასა და მათ გაუმჯობესებას.

პრაქტიკის კვლევის პროცესში, მეტი სანდო მონაცემების მისაღებად, გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. კერძოდ, დიაგნოსტიკის ეტაპზე სკოლის დირექტორთან ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ, რომელმაც მოსწავლეებში ავტონომიური სწავლის უნარის განვითარების ხელშეწყობის მხრივ სკოლის გამოცდილება გამოკვეთა. კვლევაში მონაწილე მასწავლებლებთან ნახევრად სტრუქტურირებული ორი(კლასების მიხედვით) ჯგუფური ინტერვიუ ჩატარდა. ინტერვიუებმა გამოკვეთა მასწავლებელთა დამოკიდებულება და გამოცდილება მოსწავლეებში დამოუკიდებელი სწავლის უნარის განვითარების მხრივ.

მოსწავლეებისაგან ინფორმაციის მისაღებად რაოდენობრივი კვლევის მეთოდი გამოყენებული - ორივე კლასის მოსწავლეები სპეციალური კითხვარებით გამოიკითხნენ. გამოკითხვის საშუალებით მათ საკუთარი სწავლის პროცესი შეაფასეს, რაზე დაყრდნობითაც განისაზღვრა, რამდენად თვითრეგულაციურია ეს პროცესი.

ჩატარებული ინტერვიუებისა და გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა და განხორციელდა შესაბამისი ინტერვენცია კომპლექსური დავალების სახით. ხოლო

აღნიშნული ინტერვენციის შეფასების მიზნით კვლევაში მონაწილე მასწავლებლებთან ჩატარდა ინდივიდუალური ჩაღრმავებული ინტერვიუები, რამაც მუშაობის პროცესში არსებული გამოწვევები და მთავარი მიღწევები გამოკვეთა. გარდა ამისა, გამოიკითხნენ (კითხვარების საშუალებით) მოსწავლეებიც. მათ, ფაქტობრივად, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის თვითრეფლექსია გააკეთეს.

ინტერვენციის შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ კომპლექსური დავალებები ეფექტიანია და ხელს უწყობს მოსწავლეებში დამოუკიდებელი სწავლის უნარების განვითარებას. შესაბამისად, შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებით სასწავლო პროცესი უფრო პროდუქტიული, ეფექტიანი და მოსწავლეთა თვითმართვადი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული იქნება.

კვლევის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შეზღუდვები, დასკვნები და რეკომენდაციები.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ავტონომიურობა, მეტაკოგნიცია, თვითმართვადი სწავლა, კომპლექსური დავალება, სწავლა-სწავლება.

## Abstract

The following master's piece of work represents practice research report about the issue: "Model of assessment and development of students' autonomous learning for the school".

The abovementioned research was conducted in the two grades of the basic level (7th and 8th grades) of Tbilisi Public School #175, by the students of Ilia State University - Master of Education Administration Program.

The research aims at developing and implementing a model together with the teachers of the target school, which will definitely support the periodic research of students' independent learning skills or competencies and their improvement.

Both qualitative and quantitative research methods are used in the practice research process to obtain more reliable data. In particular, at the diagnostic stage, a semi-structured in-depth interview was conducted with the school principal, which highlighted the school experience in promoting the development of autonomous learning skills in students.

Two semi-structured (by classes) group interviews were conducted with the teachers participating in the study. The interviews revealed teachers' attitudes and experiences in developing students' independent learning skills.

Quantitative research method was used to get information from students - students in both classes were interviewed with special questionnaires. Through the survey, they evaluated their own learning process, based on which it was determined how self-regulatory this process is.

Based on the conducted interviews and survey analysis, the relevant intervention was developed and implemented in the form of a complex task.

In order to evaluate this intervention, in-depth individual interviews were conducted with the teachers participating in the study, which highlighted the challenges and key achievements in

the work process. In addition, students were interviewed (through questionnaires). They actually made a self-reflection of the process of working on a complex task.

Analysis of the data obtained as a result of the intervention evaluation showed that complex assignments are effective and contribute to the development of independent learning skills in students. Accordingly, recommendations have been developed to take into account that the learning process will be more productive, effective and focused on the development of students' self-directed skills.

The last part of the study presents the research limitations, conclusions and recommendations.

**Key Words:** autonomy, metacognition, self-directed learning, complex task, learning-teaching.

## მადლობა

მადლობას ვუხდით, ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ თინათინ ალავიძეს თანადგომისა და აქტიური მხარდაჭერისთვის. ასევე მადლობას ვუხდით მე-7 და მე-8 კლასის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, პრაქტიკის კვლევის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობისა და გაწეული შრომისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით, ჩვენი პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ნათია ანდლულაძეს, რომელიც ნაშრომზე მუშაობის ყველა ეტაპზე მხარში გვედგა, გვიზიარებდა საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, აქტიურად გვაძლევდა რეკომენდაციებს და გვეხმარებოდა კვლევის ეტაპების სწორად წარმართვაში.